

# წყალდიდობების რისკების შეფასების ევროკავშირის დირექტივის საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციის პროცესის მხარდაჭერა

დაწყების თარიღი : 01-01-2012

დასრულების თარიღი: 31-01-2013

## პროექტის აღწერა:

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ევროკავშირის წყალდიდობების დირექტივის იმპლემენტაციას საქართველოს კანონმდებლობაში და მხარი დაუჭიროს ჰიდრომეტეოროლოგიური ღონისძიებების განხორციელებას საქართველოში. მოსამზადებელ ფაზაზე დეტალური ანალიზის შემდგომ პროექტის მთავარ მიზნად განისაზღვრა საქართველოს კანონმდებლობაში ევროკავშირის წყალდიდობების დირექტივის იმპლემენტაციის გაუმჯობესება და წყალდიდობების მენეჯმენტის და კრიზისის მართვის გაძლიერება საქართველოში. გრძელვადიან პერსპექტივაში პროექტი იმოქმედებს:

- ევროკავშირის წყალდიდობების დირექტივის იმპლემენტაციის ყოველმხრივ გაუმჯობესებაზე საქართველოში და გარემოს ეროვნული სააგენტოს პასუხისმგებლობის იდენტიფიცირებაზე წყალდიდობების რისკის მენეჯმენტში;
- წყალდიდობების პროგნოზირების და ადრეული გაფრთხილებების (ადგილობრივი ადრეული გაფრთხილების სისტემა) პირობების გაუმჯობესებაზე საქართველოში.

## პროექტის შედეგები :

პროექტის მიზნების განხორციელებით და პროექტის ზემოქმედებით მოსალოდნელია შემდგომი შედეგები:

შედეგი 1: საქართველოს კანონმდებლობაში ევროკავშირის წყალდიდობების რისკების შეფასების დირექტივის ჰარმონიზაციის და იმპლემენტაციის მექანიზმის განვითარება.

### ქვეშედეგები:

1.1. საქართველოს კანონმდებლობაში ევროკავშირის წყალდიდობების რისკების შეფასების და მართვის დირექტივის ჰარმონიზაციის და იმპლემენტაციის საგზაო რუკა;

1.2. პასუხისმგებლობის და ქმედებების დირექტივის პროექტი წყალდიდობების პროგნოზირების და ადრეული გაფრთხილების დარგში გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტისათვის.

**შედეგი 2:** წყალდიდობების რისკების არეალში მეთოდოლოგიების განვითარება და ჰიდროლოგიური მონიტორინგის დამატება მდინარის საპილოტო აუზში (ალაზანი). ქვეშედეგები: მეთოდოლოგია;

2.1 წყალდიდობების რისკების არეალის აგების მეთოდოლოგია;

2.2 მდინარე ალაზანის აუზში წყალდიდობების რისკის ბონების რუკა (GIS-ის საფუძველზე მიღებული რუკა);

2.3. ჰიდროლოგიური მოდელი (წვიმა-ჩამონადენი) წყალდიდობების პროგნოზირებისათვის დანერგული გარემოს ეროვნულ სააგენტოში;

2.4 მდინარის საპილოტო აუზში ავტომატური ჰიდროლოგიური სადგურები;

2.5 წყალდიდობების პროგნოზირების საკითხებში მომზადებული ექსპერტები

**მიზნობრივი ტერიტორია :** მთელი ქვეყანა

**სფერო :** კატასტროფები

## **დონორები :**

სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Slovak Aid)

<http://www.slovakaid.sk/>

## **ბანკინგის ინფორმაცია**

**ორგანიზაცია:** გარემოს ეროვნული სააგენტო

**ტელეფონი:** +99532 2439550

**მისამართი:** 150 David Agmashenebeli av., 0112 Tbilisi Georgia

**ვებ-გვერდი:** <http://www.meteo.gov.ge>

**საკონტაქტო პირი:** რამაზ ჭითანავა; ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის უფროსი

**ტელეფონი:** +99532 2439550; **ელ-ფოსტა:** Ramazchitanava@gmail.com

## **მაილსტონები**

**მაილსტონი:** საქართველოს კანონმდებლობაში ევროკავშირის წყალდიდობების რისკების შეფასების დირექტივის ჰარმონიზაციის და იმპლემენტაციის მექანიზმის განვითარება

**სტატუსი:** დასრულებული

**მაილსტონი:** ევროკავშირის წყალდიდობების დირექტივის ჰარმონიზაციისა და იმპლემენტაციისათვის საგზაო რუკის განვითარება;

**სტატუსი:** დასრულებული

**მაილსტონი:** საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის პასუხისმგებლობის და ქმედებების დირექტივის პროექტის განვითარება წყალდიდობების პროგნოზირების და ადრეული გაფრთხილების დარგში

**სტატუსი:** დასრულებული

**მაილსტონი:** წყალდიდობების რისკების არეალის აგების მეთოდოლოგიისათვის რუკების განვითარება

**სტატუსი:** დასრულებული

**მაილსტონი:** წყალდიდობების რისკის ზონების რუკა მდინარე ალაზანის აუზისათვის (GIS-ის საფუძველზე)

**სტატუსი:** დასრულებული

## **ბიუჯეტი**

სრული ბიუჯეტი: 80800 EUR

სრული გრანტი: 80452 EUR